



# სამეურნეო ჟურნალი

# მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება  
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად 10 კაპ. || ადრესი: Тифлисть, Варягинская, № 5.

## წელიწადი გეორგი

1910 წელიწადი.—დეკემბერი, №№ 23 ღ 24.

## შინაარსი

მეურნ. ინსპ. ი. ვას—ვი. . . . .	ფილქსეკა . . . . .	3
ანაზღეული . . . . .	შავი ტირი . . . . .	5
ვ. გულბათიშვილი . . . . .	მიზეზი მეურნეობის აღორძინებისა იტალიაში . . . . .	11

### საყურადღებო ცნობები:

როგორ ამოვიცნოთ, რომელიმე რკინეული იაწა იმ ფოლადისაგან არის გაკეთებული თუ ნაწრობი რკინასა? . . . . .	14
როგორ უნდა აირჩეს ჩვილი ხბო მოსაშენებლად გასაზრდელად . . . . .	14
საშუალებები ბუზების წინააღმდეგ . . . . .	14
დამჭავებულ წყალში ვარაქის შენახვა . . . . .	14
წვადგარეული რძის შემოწმება . . . . .	14
ვაშლის ხის ტვირზი . . . . .	14

სარჩევი 1909 — 1910 წწ. ჟურნალ „მოსავალში“ დაბეჭდილი წერილებისა . . . 15

# სამეურნეო ჟურნალი

## მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:—  
პ. ავერკინისა, ა. აფნაზ.სა, აგრიკოლასი, ვ. ახაშვილისა, ვ. ახლაძესი ლ. გოგნივეისა, ვ. გულბაათიშვილისა, დ. გორთაძაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელიჩესი, ზ. ედილაშვილისა, მ. ზალიშვილისა, ა. თამაშვილისა, ე. იოსელიანისა, დ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძესი, დ. მდივანისა, ს. მგალობლიშვილისა, მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. შქედლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ც. ნ., ი. პააცაშვილისა, ვ. რეცილაძესი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორცხუაშვილისა, ვ. შ—ელისა, ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. კვორჯაძესი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის ჩხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სტეფანოპოლს და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირიპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს ჩხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

**კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან:** გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ლამბაშიძე ვ., ალაძე ი., გულისაშვილი მ.

### თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაუბრუნდება თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შემოკლოს. წერილები და კორექსიონები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრეთვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვგურო ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**. წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თესლეულობა**, სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრეთვე, თუ შეიძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

**ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.**

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Бяргинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი პ. ი. რეხილაძე

# გაფრთხილება

კახელებო! გეშინოდეთ ფილოქსერისა. ფილოქსერამ სხვაგან მილიონობით გაანადგურა ვენახები და ახლა კახეთშიაც გაჩენილა. ნუ შეიტანთ ვენახში ვაზს, გინდ ამერიკული იყოს, გინდ ჩვენებური, ნურც ვაზის რქას, ნურც წალამს სხვა ვენახიდან, თორემ ვენახები დაგელუპებათ.

ფილოქსერა შეიძლება შეჭყვევს ავრედვე იარაღებსაც (თოხს, ბარს და სხვა) და ფეხსა და ტანსაცმელსაც, თუ კაცი ფილოქსერიან ადგილიდან არის მოსული.

კახეთში მიმავალნო! არ შეიტანოთ კახეთში არავითარი ვაზი არც ადგილობრივი, არც ამერიკული. შეიძლება ფილოქსერა შეჭყვევს და ვენახები მთლად გაანადგუროს.

# ფილოქსერა

ამ ორმოცდა ათის წლის წინად საფრანგეთში პირველად შეამჩნიეს რომ ვენახებში, მიუხედავად იმისა რომ ვენახს ხელი არ აკლია, მშვენივრად არის ნაკეთები, მოვლილი, ვაზი მაინც ხმება. ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზი უბრალო თვალით ძნელი გასარჩევი პატარა კია-მწერი, რომელსაც **ფილოქსერა** ჰქვია, სანუ და რომელიც უწინ არც საფრანგეთში, არც სადმე სხვაგან ევროპაში არ ყოფილა შემჩნეული და მხოლოდ ამერიკაში, იქაურ ვაზის ფესვებზედ და ფოთლებზედ სცხოვრობდა და იქიდან წამოღებულ ვაზებს გამოჰყოლოდა.

ფილოქსერა საზოგადოდ უფრო ვაზის ფესვებზედა სცხოვრობს და ამ ფესვების წვენი იკვებება. ვაზის ნორჩი ფესვი ფილოქსერისაგან ნაჩხვლეტი სივდება და შემდეგ ღვება, რის გამოც ვაზი იჩაგრება და ბოლოს ხმება

მას აქეთ, რაც ფილოქსერა გაჩნდა ევროპაში და კავკასიაში მისგან განა-

დგურებული ვენახები მილიონობით ითვლება.

რაკი ერთი დაბინავდება ვაზის ფესვებზედ ფილოქსერა იგი სდებს 30 კვერცხამდე, 2-3 კვერცხს 4-5 ღლეში, და მერე კვდება. ამ კვერცხებიდან 8-10 დღის შემდეგ იბადებიან ახალი მწერები და ყოველი მათგანი იმდენსავე კვერცხსა სდებს

ამ სახით თითოეული მწერიდან ზაფხულის განმავლობაში უთვალავი შთამომავლობა წარმოსდგება.

შემოდგომაზე, ღვინობისთვის გასულს ან გიორგობისთვის პირველ რიცხვებში, ადგილის მიხედვით, ხანშესული მწერები იხოცებიან, მოზარდი თაობა კი ვაზის ფესვებზე ბინავდება და მიყუჩებულებს გაჰყავთ ზამთარი ვიდრე აპრილის სითბო ხელ-ახლა წამოაყენებს მათ და იწყებენ ისევე გამრავლებას.

ზოგს ამ მწერთაგანს დაბადებიდან ფრთები დაჰყვებათ ხოლმე და როცა მიწიდან მალა ამოვლენ ეს ფრთები ეზრდებათ.

ფრენის დროს ფილოქსერა ქარს ზოგჯერ შორს მანძილზე გადააქვს.

ფრთიანი ფილოქსერა სდებს ვაზის ფოთოლზე 3—4 კვერცხს, ამ კვერცხებიდან გამოდიან დედალ-მამლები, რომელნიც გამოსვლისათნავე იპებლებიან და თითოეული დედალი ორი წლის ვაზის რქის კან ქვეშ თითო კვერცხსა სდებს, ფრით მომუქოს, როგორი ფერიც თვით ვაზის ქერქსა აქვს. ეს კვერცხი დევს აქ მთელი ზამთარი და გაზაფხულზე გამოდის აქედან ფილოქსერა, რომელიც გადაცოცდება ხოლმე ვაზის ფესვზე, იშვიათად ფოთოლზედაც, და იძლევა ახალ შთამომავლობას.

ამერიკულ ვაზზედ ფილოქსერა უფრო ვაზის ფოთოლზედა სცხოვრობს, ფოთოლის დაკოჭიეებულ-დახორცმეტებულ ნაწილებში. იგი ბინავდება ვაზის ფესვებზედაც, ხოლო ამერიკული ვაზის ფესვი ისეთი ნაზი არ არის, როგორც ჩვენებური ვაზისა, და ამიტომ ვერას ავნებს მას ჩვენებურ ვაზზედ კი, რადგან მას ფესვები ნაზი აქვს, ფილოქსერა უფრო ამ ფესვებს ეტანება, აქ ბინავდება, საზრდოობს, რის გამო ვაზის ფესვი სივდება, ღპება და ვაზი ხმება.

ფილოქსერა ისე სწრაფად მრავლდება, რომ მარტო ერთი მწერი რომ გაჩნდეს ვენახში მთელი ვენახი რამდენიმე წლის განმავლობაში გადახმება.

ერთი დაავადებული ვენახიდან სენი გადადის მეორე, მესამე ვენახში და ყველა ვენახებს მოედება ხოლმე მთელთარგში. გარდა ამისა ფილოქსერა გადაიტანება ძლიერ დიდ სიშორეზედაც ფესვიანი ვაზების ან ვაზის ორ წლოვან ან უფრო მეტი ხნის რქების წა-

ღებით დაავადებულ ვენახიდან საღ ვენახში.

ამ ნაირად არის მოსული ფილოქსერა ამერიკიდან ევროპაში, იქიდან რუსეთში: ყირიმში, ბესარაბიაში, ყუბანის ოლქში, სოხუმში, ტფილისში, ქუთაისის გუბერნიაში და სხვაგან რუსეთში და კავკასიაში.

ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერამ ათასობით გაანადგურა ვენახები, იქიდან გადმოვიდა გორის, დუბეთის და ტფილისის მაზრებში და ახლა კახეთამდინაც მიადწია.

კახეთში ფილოქსერა შემოიტანეს ამერიკული, ანუ მწარე ვაზის მოტანით ქუთაისის გუბერნიიდან. ეს მწარე ვაზი ფესვებიანი მოუტანიათ კახეთში და ფილოქსერა ამ ფესვებს გამოყოლია.

მწარედა სცდებიან ისინი, ვისაც გონიათ რომ ამერიკული მწარე ვაზით ფილოქსერა არ გადაიტანება.

ფილოქსერით დაავადებული ვენახიდან ვაზი, გინდ ამერიკული იყოს იგი, საღ ვენახში რომ შევიტანოთ, იქაც აუცილებლივ გაჩნდება ფილოქსერა, მოედება ჩვენებურ ტკბილ ვაზებსაც და, რადგან მათ ფესვები ნაზი აქვთ, ყველას გადაახმობს.

თუ გსურთ რომ თქვენ ვენახს ფილოქსერა არ გაუჩნდეს, სხვა ვენახებიდან ნურაფერ ვაზს ნურც ფესვიანს, ნურც ორის წლის ან უფრო მეტი ხნის რქას ვაზებისას ნუ შეიტანთ, რადგან ვაზის რქის კანის ქვეშ შეიძლება ფილოქსერის კვერცხი იყოს ან კვერცხიდან უკვე გამოსული ფილოქსერა იჯდეს.

დასავლეთ საქართველოში ფილოქსერით მეტი წილი ვენახებია დაავადე-

ბული. რადგან პირველის წლის განმავლობაში ფილოქსერა ძნელი აღმოსაჩენია, ამიტომ იგი შეიძლება შეაყოლოთ ფესვიან ვაზს, ან ვაზის რქას ისეთი ვენახიდანაც, რომელიც საღ ვენახად ითვლება. ამისა გამო შესაძლებელია ვაზის ან ვაზის რქის ერთი ვენახიდან მეორე ვენახში გადატანა აკრძალულია კანონითაც, რომელიც დამნაშავეს არბევს **სამასი მანეთით** ანუ **სამ თვემდე ციხეს** მიუსაჯავს.

ზედმეტად საშიში მდგომარეობა კახეთისათვის დადგა ეხლა, როდესაც ფილოქსერა შიგ კახეთში, სოფ. ლელიანში, ბაისუბანში და სხვაგან ახლომახლო უკვე არის გაჩენილი და შეიძლება აქედან თოხით, ბარით და სხვა ავეჯ-იარაღით ან ფეხისა და ტანთ საცმელით გაიყოლოს კაცმა ან ჭიგოზე მიკრული მიწით გადაიტანოს.

ფილოქსერა იმდენად საშიში სენია ვენახებისათვის, რომ ყველა ქვეყნებში, სადაც კი გაჩნდება ხოლმე, პირველი ხანობა, ჯერ სანამ დიდ აღვილს დაიჭერს, ცდილობენ საცა შეამჩნევენ ვენახებიანათ მოსპონ, როგორც ეხლა კახეთში მოიქცნენ.

ამ გზით რაოდენიმე ხანი მაინც შეიძლება შეგვიანდეს მისი პირალებით გავრცელება ყველა ვენახებში და ამ ვენახების ერთბაშად პირქვე დამხოვა.

ხოლო როდესაც სენი იგი ბევრ ალაგას გაჩნდება, იმის გავრცელებას ვეღარა შეიმაგრებს რა და მაშინ სხვა

საშუალებას მიმართვენ ხოლმე ვენახების დასაცველად.

ამ საშუალებებთა შორის დღეს საუკეთესო საშუალებად ითვლება ჩვენებული ვაზის ამერიკულ ვაზზე მყნობა.

ზევით ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ რომ თუმცა მწარე ვაზის ფესვებზე ფილოქსერა სცხოვრობს, მაგრამ იგი ვერას ავნებს ამ ფესვებს. ამიტომ ამერიკულ ვაზზე რომ ჩვენებული ვაზი ვამყნოთ, ისეთ ვაზს მივიღებთ, რომელსაც ფესვები ამერიკული ვაზისა ექნება ფილოქსერისაგან უვნებელი და ღერო და ღერწი კი ჩვენებული ვაზისა და ჩვენებურსავე ყურძენს დაისხავს ისევ.

რომ ამერიკული ვაზის სხვაგანიდან შეტანით კახეთში ფილოქსერა არ შეაყოლონ ხელ-ახლა, რუსეთის მართველობამ განიზრახა შიგ კახეთში სოფ. კისისხევში და სხვაგან ამერიკული ვაზი გააშენებინოს სანამყენოთ და თან ნამყენებიც გააკეთებინოს და ახარებინოს, რომ კახეთში ყველას შეეძლოს აქედან ნამყენი ვაზი წაიღოს და თავის მამულში დარგას. რადგან ზემოხსენებული აზრით კისისხევიცა და სხვაგანაც ამერიკული ვაზის გასაშენებლად მხოლოდ ერთი წლის რქა იქნება ნახმარი, რომელზედაც ფილოქსერა თავის დღეში არ არის ხოლმე, ამიტომ არც ამ **სანამყენოებში** და არც აქ გაკეთებულ და ნახარებ ნამყენებზე ფილოქსერა არ იქნება სრულებით და უშიშრად შეიძლება საცა გნებავთ კახეთში მათი წაღება და ნამყენი ვენახის გაშენება.

მეურნ. ინსპ. ი. ვას—ვი.

## შავი ჭირი

შავი ჭირი ადამიანის შესაყარი მძიმე ავადმყოფობაა. ზოგიერთ შორეულ ქვეყნებში როგორც მაგალითად ინ-

დოეთში, აფრიკაში ეს სენი მუდამ მძვინვარებს და ხან გაძლიერებული, ხან შესუსტებული მრავალ მსხვერპლს იწვე-

ევს. დრო გამოშვებით შავი ჭირი აქედან ეწვევა ხოლმე ევროპას და რუსეთს. უფრო ხშირად სენი გადმოდის ინდოეთიდან სპარსეთზე და აქედან რუსეთში.

რა გზითაც უნდა იყოს შემოტანილი სნეულება, იგი სწრაფად მოედება ხოლმე ხალხს, თუ თავის დროზე სასტიკი ზომები არ იქნა მიღებული.

სიკვდილი ამ ჭირისაგან ხშირია, ასს ავადმყოფში კვდება 70--80 და მეტიც. საშუალო საუკუნოებში მარტო ევროპაში ამ ჭირმა რამდენიმე მილიონი ადამიანი იმსხვერპლა.

შავი ჭირით ყველა ხდება ავად: დიდი, პატარა, ქალი, კაცი. უფრო ხდებიან ავად ისინი, ვინც ბინძურ სადგომში სცხოვრობს, კარგად არ იკვებება, ურიგო ცხოვრებას მისდევს, ლოთობს, უფრო ღარიბი და გაუნათლებელია და არ იცის როგორ გადაიჩინოს თავი.

როცა შავი ჭირი შეეყრება ადამიანს, იგი მაშინათვე როდი ხდება ავად: გაივლის 5—7 დღე და შემდეგ ასტივია თავი, ეკარგება მადა, სისუსტესა გრძნობს, აზმორებს, სიცხეს აძლევს, თავის ტკივილი თანდათან აუტანელი ხდება, ხშირად მუცელსაც იტკივებს და გულის რევა ემართება, ლაპარაკი მთვრალი ადამიანისას მიუგავს და ზოგჯერ ჰბოდავს კიდევაც. ამნაირ მდგომარეობაშია ადამიანი 2—4 დღე და მერე უმეტეს შემთხვევაში კვდება. უფრო იშვიათად ესეთი მდგომარეობა რამოდენიმე კვირას გასტანს ხოლმე და მერე ავადმყოფი ან რჩება, ან კვდება.

ზოგჯერ ავადმყოფს პირველი დღიდანვე ჯირკვლები უსივდება იღლიებში, ბარძაყებში და სხვაგან. ამ ჯირკვლებს ბუბონებს ეძახიან და ავადმყოფობასაც

**ბუბონების შავი ჭირი** ეწოდება. ზედკანი ამ ბუბონებისა წითლდება, ლპეპა და ჩირქად გადმოდის.

ზოგ შემთხვევაში შავი ჭირი თავიდანვე ფილტვების ანთებას გამოიწვევს, ადამიანს სუნთქვა უძნელდება და სისხლიანი ნახველი ამოაქვს.

ამ შემთხვევაში ავადმყოფობას უწოდებენ **ფილტვების შავი ჭირი**. ვისაც ესეთი ფორმა შეხვდება, თითქმის ყველა კვდება და მომვლენებისათვისაც ძალიან საშიშია, რადგან ავადმყოფის ამონახველს შხამი ბლომად ურევია.

იშვიათ შემთხვევაში შავი ჭირი უპირველესად კანზე მოქმედობს. კანზედ სადმე ერთგან ან ბევრგან ამოდის მუწუკები, რომელნიც იარად გარდაიქცევიან და გამოიწვევენ ახლომახლო მყოფ ჯირკვლების სიმსივნეს.

როცა სატიკივარი ძალიან არის გავრცელებული, შეიძლება კანში ალაგ-ალაგ სისხლი შეგუბდეს და მუქი წითელი ან ჩალურჯებული ლაქები დააჩნდეს.

ვისაც ეს სენი ჰქონდა და არ მოკვდა, ის მეორედ რამდენადაც შემჩნეულია აღარ ხდება ავად.

შავი ჭირი, როგორადაც ყოველი სხვა გადამდები სენი, ერთი რიგი თვალთუჩინარი ბაქტერიებისაგან წარმოსდგება.

ეს ბაქტერიები, რომელთ დანახვამხოლოდ გამადიდებელი შუშით შეიძლება, თუ ადამიანის სხეულში ჩავიდნენ, სწრაფად მრავლდებიან და თავიანთი შხამით ჰკლავენ სხეულს.

ესეთივე სისწრაფით ეს ბაქტერიები მრავლდებიან თურმე, როგორადაც მეცნიერული გამოკვლევა გვიჩვენებს, ვირთავებისა და პატარა თავგების სხეულშიაც, თუ კი მოხვდნენ მას.



როცა სადმე შავი ჭირი ვაჩნდება, იქ სახლკარ-მიდამოებზე ამ ჭირისაგან ვირთაგვები ათასობითა ყრია დახოცილი. უფრო ხშირად შავი ჭირი ჯერ ვირთაგვებში იწყებს ხოლმე მძვინვარებას და მერე ხაღბზე გადადის; ზოგჯერ კი პირველად ადამიანს უჩნდება და მერე ადამიანისაგან ვირთაგვებს შეეყრება ხოლმე.

გამოკვლეულია რომ შავი ჭირი ვრცელდება აგრედვე ბუზების, რწყილების, მკბენარების წყალობითაც. ყველა ესენი ასხდებიან ჭირიან ცხოველებს, იზხამებიან თვით და მერე, მიწამდისინ დაიხოცებიან, კბენავენ ადამიანებს და შხამავენ მის სხეულს.

აქვე მეტი არ იქნება ითქვას, რომ საქონლის, კატების, ძაღლების ჭირს არაფერი საერთო არა აქვს-რა ადამიანის შავ ჭირთან.

როგორც ზემოთ ნათქვამიდანა სჩანს, შავი ჭირი ადამიანს შეიძლება სხვადასხვა გზით გადაედოს: ჯერ ერთი ავადმყოფი ადამიანისაგან, რომლის ნახველში და ჯირკვლების ჩირქში ბლომად მოპოვებიან შავი ჭირის ბაქტერიები; მერე ჭირიანი ცხოველებისაგან, რომელთ განავალი და ლეში სწამლავს ნიადაგს, სადგომს, საქმელ-სასმელს, ან არა და პირდაპირ ჰკბენს ადამიანს და უშხამავს სხეულს.

როცა შავი ჭირის ბაქტერიები მოხვდებიან ადამიანის პირს ან ცხვირს და აქედან ფილტვებს, გამოიწვევა ფილტვების ანთება; თუ გაჭირილ, გაკაწრულ კანს შეხვდნენ—ბარძაყების ან ილღის ჯირკვლების სიმსივნე იწყობა. ყოველ შემთხვევაში ავად რო ვახდება ადამიანი მაშინვე ექიმს უნდა ეცნობოს და, თუ, შავი ჭირი აღმოჩნდა, ავადმყოფი სამკურნალოში მოთავსდეს. აქ მას რიგინად უგდებენ თვალყურს, უწამლებენ

და თანაც აღარც მახლობლებისათვის იქნება საშიში. ვინიცობაა რამე მიზეზისა გამო ავადმყოფი სამკურნალოში ვერ გაიგზავნა და სახლში დარჩა, უნდა უსათუოდ იცოდნენ როგორ მოუბრონ მას, ან რა ზომები მიიღონ რომ სენი სხვას არ გადაედოს. ავადმყოფთან მომვლელის გარდა არავინ არ უნდა დარჩეს. ყველა მისი მახლობელი სხვა სახლში უნდა გადავიდნენ. ავადმყოფი უნდა იწვეს რბილად, თვით ან ჩალით გატენილ ლეიბზე, რომ მერე ამ ქვეშაგების დაწვა სანანური არ გახდეს. სახლი, სადაც ავადმყოფი წევს, უნდა მალმალ განიავდეს, კარფანჯარა გაიღოს, ბუხარი ხშირად აინთოს. მომვლელმა სასტიკი სისუფთავე უნდა დაიცვას, ხელი ხშირად დაიბანოს, მეტადრე ჰამის წინ. ავადმყოფის ამონახველი, შარდი და განავალი უნდა გროვდებოდეს თიხის ან შუშის ჭურჭელში, რომ ზედ კუპრანი ნაცარტუტა ან კირის რძე, ან სხვა რამ დასასხმელი, ექიმის რჩევით, დაესხას შხამის მოსაკლავად. შემდეგ ყველა ამას სადმე ორმოში ჩაასხამენ და მაგრა ხურავენ ზემოდან პირს, რომ საქონელი არ შეეხოს. \*)

\*) კუპრიან ნაცარტუტის მოსამზადებლად საჭიროა: ერთი ნაწილი ნაცარი ათ ნაწილ წყალში აირიოს და როცა დაილექავს, წყალი გადაიღვაროს. დარჩება ნაცარტუტა. შემდეგ ამ ნაცარტუტის ათ ნაწილს უნდა ერთი ნაწილი არყის კუპრი დაეხსას და კარგად აირიოს.

კირის რძის მოსამზადებლად იღებენ 7—8 გირ. სუფთა გაუნელებელ კირს, ჩაჭყრიან ჭურჭელში და ცოტ-ცოტაობით დაასხამენ ზედ 1/4 ვედრა წყალს. ამ წყალს კირი მთლად შეიშრობს და განელდება. შემდეგ დაასხამენ კიდევ 3/4 ვედრა წყალს და ათქვეფენ. გამოვა კირის რძე, რომელიც უნდა ახალ-ახალი იმარებოდეს.

ავადმყოფი მორჩევა, ქვეშაგებსაც და მთელ სახლსაც ექიმის დარიგებით დეზინფექციას უკეთებენ, თუმც უკეთესია ყველა ეს დაიწვას, მეტადრე ჩირქით მოცხებული ტილოები და ტანისამოსი. ზოგჯერ სენის მოსასპობად სახლსაც კი სწვავენ, მხოლოდ პატრონს ზარალს უზღავენ. ჭირისაგან გარდაცვალებულის შესახებ დიდი სიფრთხილე ჰმართებს ყველა მახლობელს. არც გაბანვა, არც კოცნა გვამისა არ შეიძლება. მაინცა და მაინც თუ აღარ დაიშალეს და აბანებენ, უნდა უბრალო წყლის მაგივრად ექიმის დარიგებით სხვა გასაბანებელი ინმარონ.

სახელმწიფოს საზღვრებზე, ნავთსადგურებში, იმის მიხედვით საიდან არის შავი ჭირი მოსალოდნელი, ექიმების ხელმძღვანელობით კონტროლი უკეთდება ყოველ მოსულს საზღვარგარეთიდან ადამიანსაც და საქონელსაც. ვეში ჭირიანი ადგილიდან მოსული უნდა უსათუოდ დათვალიერებულ იქმნას, საქონლის გადმოღებამდე ყველა ვირთავები ამოიხილოს შიგ რაც შეიძლება იყვნენ და ყველა ადამიანსა და ავეჯს ჯეროვანი დეზინფექცია გაუკეთდეს.

თუ ვინმე აღმოჩნდა მოგზაურთა შორის შავი ჭირით ავადმყოფი, მან განგებ ამისათვის მომზადებულ ცალკე სადგომში (კარანტინში) მიიყვანენ და იქ დაამყოფებენ. წინადა ამ კარანტინებს დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ჭირის გამავრებაში, ხოლო ბოლოს აღმოჩნდა რომ ამ გზით ჭირს მაინცდამაინც ვერ იმავრებენ და ყოველი შევიწროება მგზავრისა ამაოდ რჩება.

არც გასაკვირველია ესეთი ამაოება, თუ გავიხსენებთ რომ ადამიანის გარდა

შავ ჭირს კიდევ ბევრი სხვა ჩვენგნით შეუმჩნეველი გამავრცელებელი ჰყავს, როგორც მაგალითად ვირთავვა, ბუზი, რწყილი და სხვა.

როდესაც შავი ჭირი რომელსამე ადგილში ძლიერ დაიწყებს მძვინვარებას, ამ ადგილს ალყას შემოარტყამენ ხოლმე ჯარით, ესე იგი გარშემო დგანან ეგრედწოდებული „კორდონები“ და ყოველი მისვლა-მოსვლა აქედან მეზობლებთან შეწყვეტილია. ესეთი უკიდურესი ზომა ძნელი ასასრულებელია, თუ მეტადრე იგი დიდ მანძილზეა მისაღები. ბევრით ამაზე უპრიანია, რასაკვირველია, ავადმყოფის სამკურნალოში მოთავსება ან ცალკე სახლში დაწვენა. ავადმყოფის ესეთი განცალკევება დროებით მარტო მის მახლობელსა და ნათესავებს კი არა, ბევრ სხვა შორეულსაც ააცდენს ჭირს.

ხოლო თუ დროზე ვერ გამოიცინეს ავადმყოფობა და ზომები არ მიიღეს, დიდი უბედურება დატრიალდება, რადგან ავადმყოფი უნებურად ბევრ სხვასაც შეჰყრის ამ სენს. ამიტომაც ყოველი შეგნებული ადამიანი მოვალეა ამისთანა დროს დაეხმაროს ექიმს ყოველი ასეთი ავადმყოფის აღმოჩენაში.

განსაკუთრებით საჭიროა ასეთი ავადმყოფობის მაშინათვე აღმოჩენა როცა ხალხი რამე მიხვებით ბლომად გროვდება ერთად—ბაზრობის დროს, დღეობებში სამოგზაუროთ და სხვა.

რომ შავი ჭირით არ გავხდეთ ავად, უნდა სისუფთავე დავიცვათ სასტიკად: ხელები უნდა ვიბანოთ ხშირად, ფეხშიშველა არ უნდა ვიაროთ, რომ ფეხებზე კანი როგორმე არ გაგვეკაწროს. ტანისამოსი, საცვლები, სახლკარი სუფთად უნდა შევინახოთ, საკმელ-სასმელი





ბუზებსა და თავგებს ავარიდოთ; შეძლების და გვარად რიგიანად ვჭამოთ და ვსვათ, სიმთვრალესა და დაღლას ვერიდნეთ, რადგან დაღლილ-დასუსტებულ სხეულს ყოველი გადამდები სენი უფრო ეტანება.

ამ ბოლო დროს ექიმები ყვავილის მზგავსად უცრიან ერთგვარ სიახეს, რომელსაც „შავი ჭირის საწინააღმდეგო ლიმფას“ უწოდებენ სახელად. აკრილი ადამიანისათვის შავი ჭირი საშიში აღარ არის რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც და მანამდისინ-კი სენი შეიძლება სულაც მოისპოს. ექიმები და მათი თანაშემწენი იქ, სადაც მოსალოდნელია შავი ჭირი, თითონაც უცრიან და სხვებსაც ამასვე ურჩევენ.

მიღებული ზომების მიუხედავად თუ ვინმე მაინცა და მაინც შავი ჭირით გახდა ავად და ძალიან დაგვიანებული არ არის, ექიმებმა შეიძლება გადაარჩინონ სიკვდილს. ესაა ავადმყოფს შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატს უშხაპუნებენ ისე როგორც ხუნაგის დროს. ყველა ზემოხსენებულ ზომების შემწეობით ამ უკანასკნელ ხანებში არა ერთხელ შეუჩრებიათ სენის გავრცელება ევროპაშია და რუსეთშია. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ რომ თუ ხალხი ყურადღებით და შეგნებულად მოიქცა, დღესაც ადვილად შეუძლიან შევებრძოლოთ ამ სენს და იქვე მოვსპოთ საცა გაჩნდება.

უპირველეს ზომათ შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში ვირთავების გაწყვეტა ითვლება. სადაც ეს ზომა თავის დროზე და წესიერად უხმარიათ, იქ როგორც არა ერთხელ და ორჯელ დარწმუნებულან შავი ჭირიც მოსპობილა.

ვირთავებს ხოცავენ სხვადასხვა გზით: აჭერინებენ ძაღლებსა და კატებს, უგებენ ხაფანგს და სხვა. ხოლო საუკეთესო საშუალებათ მოწამლა ითვლება საწამლავებით: მარგიმუშკი, ფოსფორი და სტრიხნინი, რომელთაც აზავებენ ვირთავების სხვადასხვა საყვარელ საქმელებთან და ისე მოტყუებით სწამლოვენ.

მარგიმუშკს მაგალითად ასე აზავებენ.

ლორის ქონი.....	32 გრამი
ფქვილი.....	16 „
მარგიმუშკი.....	2 „
დანაყული ნიგოზი..	16 „
კამის თესლი.....	1 „

ყველა ეს უნდა გაცხელდეს რომ ქონი დადნეს და ისე აირიოს ერთმანეთში. საწამლავე კამის შემდეგ ნახევარ საათში მოქმედობს. ვირთავებს აუვარდებათ წყურვილი, გულის გშინვა, იკრუჩხებიან და იხოცებიან.

ფოსფორი ყვითელიც და წითელიც ისევე მოქმედობს ვირთავებზე როგორცადაც მარგიმუშკი.

უკეთეს საშუალებად ვირთავების მოსაწამლავად ითვლება ეგრედწოდებული სტრიხნინი, რომელსაც ძალაც მეტი აქვს და სწრაფადაც მოქმედობს. ეს საწამლავე კარგია სახმარებლად სხვა ცხოველებისათვის უხვედრ ადგილებში, როგორც მაგალითად ქუჭყიანი წყლის მიღებში ქალაქებში, ფეხის ადგილების მიღებში და სხვა.

1 დრ.ახმი სტრიხნინი უნდა გაიხსნას 1/4 გირვანქა 95 გრადუსიან სპირტში. ეს ხსნილი უნდა გადაესხას 1 გირ. პურის ხორბალს, რომელსაც უნდა კარგად აურიოთ, რომ სტრიხნინი ყველა მარცვალს გაუჯდეს. მე-



რე ამ მოწამლულ ხორბალზე დაახ-  
ხამენ მწვანე ანილინის საღებავს, რომ  
მწვანედ შეიღებოს ხორბალი, და-  
წვეთებენ 5 წვეთ კამის ზეთს და  
გასატკილებლად წყალში გახსნილ  
საქარინს გადაავლებენ.

პურის ხორბალის მაგივრად შე-  
იძლება ბრინჯი მოიწამლოს, კამის  
თესლი, გოგრის ან ზეუჭვრიტეს  
თესლი, სიმინდი და სხვა.

როცა სწამლავი დახურულ შენო-  
ბაში უნდათ იხმარონ, სადაც ფიცრის  
იატაკია დაგებული, რომ ამ იატაკის  
ქვეშ ვირთაგვები არ ჩაიხოცნენ და  
იქაურობა არ აყროლდეს მათი ლეშით,  
უნდა სადაც საწამლავი იქმნება დად-  
გმული, იქვე წყალიც დაიდგას თასით.  
მოწამლული ვირთაგვა შესჯამს თუ არა  
საწამლავს მაშინვე ხარბად დაეწაფება  
წყალს და იქვე მოკვდება, ისე რომ  
იატაკის ქვეშ ვეღარ ჩაასწრობს ჩასვ-  
ლას.

ცუდი ამ საწამლავისა ის არის, რომ  
ძლიერ ცხარე შხამს წარმოადგენს. თუ  
შინაური ცხოველი, ფრინველი, თვით  
ადამიანიც არ მოერიდნენ, ადვილად  
შეიძლება მოიწამლნენ. ამიტომ ეს სა-  
წამლავი შიგ თაგვების სოროში უნდა  
ჩაიტენოს ხოლმე, რომ სხვა ცხოველე-  
ბისთვის უხვედრი გახდეს. საწამლავი ისე  
უნდა დაიდოს თავის ალაგას, რომ ტი-  
ტველი ხელი არ შეეხოს, თორემ ვირ-  
თაგვები სუნს აიღებენ და აღარ მიეკა-  
რებინან.

სახმარებლად საშიში საწამლავე-  
ბის გარდა ვირთაგვების დასახოცათ  
სხვა ადამიანისათვის უფლებელ საშუა-  
ლებებსაც ხმარობენ. მოვიყვანთ აქ  
მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

- 1. აურიეთ ერთმანეთში:  
წყალ დაუსხმელი კირი. . . 2 გირ.
- ფქვილი . . . . . 1/2 გირ.
- დანაყილი შაქარი . . 1/2 გირ.

ესეთი ნარევი ძალიან უყვართ ვირ-  
თაგვებს, ხარბათა სჯამენ, აუვარდებათ  
მერე საშინელი წყურვილი, დაღვევენ  
ძალიან ბევრ წყალს, ამ წყლით მუ-  
ცელში კირი განეოდება-გაფუფუნება და  
ვირთაგვა კუჭზე სქდება.

2. დაამსხვრიეთ ფილში ძაან წვრი-  
ლად გაქაჯული, გამხმარი ღრუბე-  
ლი. მაგარი ნაწილები ამ ღრუბე-  
ლისა ჩატენეთ მოხრაკულ ქონში  
და დადგით ისეთ ადგილს, სადაც  
ვირთაგვები არიან. სჯამენ თუ არა  
ამ ხიწიწს, წყალს დაეწაფებიან,  
ამ წყლით ღრუბელი მუცელში გაი-  
ყენება, გაიწივს და კუჭზე გასქდება  
ვირთაგვა.

3. ისეთ შენობაში, რომელიც  
ყველა მხრიდან იხურება—იკეტება  
ისე რომ ჰაერი აღარსაიდან შევი-  
დეს, დაბოლებით შეიძლება ამოვან-  
ჩროთ ვირთაგვები.

დასაბოლებლად იღებენ გოგირდს  
1—1 1/2 გირვანქას თითო კუბიკურ სა-  
ყენ სივრცეზე შენობაში. ვირთაგვები  
ამ ბოლში ამოიხრჩობიან, თუ შენობა  
კარგად არის ყველა მხრიდან დახურუ-  
ლი და ახალი ჰაერი არსაიდან არ შე-  
დის შიგ.

სახლებში შემოსასვლელი ვირთაგვე-  
ბის სოროები, რომ შავი ჭირი სახლში  
არ შემოიტანონ, უნდა ამოივსოს ჩაკი-  
რვით. ჩაახამთ სოროში კირის რძეს  
და ამოტენავთ შუშის ნამტვრევებით.

რომ ფეხის ადგილებში არ დაბინავ-  
დნენ ვირთაგვები, უნდა შიგ გაუნე-  
ლებელი კირი ჩაიყაროს, ან კარბო-

ლინეუმი, რომლის სუნი საშინლად ეჯავრებათ ვირთაგვებს, ჩაიღვაროს, ან რკინის კუპაროსი გახსნილი წყალში ჩაისხას შიგ. რკინის კუპაროსით რაც რამეა ფეხის ადგილში იწამლება და ვირთაგვებსაც სწამლავს.

ვირთაგვების გარდა სენის სხვა გამავრცელებლების წინააღმდეგ როგორც არიან მაგ. რწყილები, ბალლინჯოები (თუმცა ბალლინჯოებზე ჯერ დანამდვილებით არ იციან, გადააქვთ ამათაც სენი თუ არა) ჩვეულებრივი წამლები იხმარება. სახელდობრ: რწყილის წამალი, იატაკის გარეცხა ნავთში ან სკიპიდარში დასველებული ტილოთი და სხვა.

ბალლინჯოების წინააღმდეგ იგივე ნავთით ან სკიპიდარით დასველე-

ბული ტილოებით სწმენდენ კრაოტებს, ტახტებს, კედლებს, ავეჯს და ყველა სხვა ნივთებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების გარდა არა ნაკლები მნიშვნელობა შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში სისუფთავის დაცვას უნდა მიეცეს საერთოდ. გამოგვა, გამორეცხვა ყველა იმ ნახორმახალისა, რომლითაც კი ვირთაგვები იკვებებიან, არა ნაკლებ შეგვიწყობს ხელს ამ ვირთაგვების გაწყვეტაში, რადგან შიმშილი, გარდა იმისა რომ აპრკოლებს მათ გამრავლებას, მათ შორის გამოიწვევს ისეთ უდიერ ბრძოლას არსებობისათვის, რომ თითონვე ხოცავენ და სჭამენ ერთმანეთს.

ანაზღეული

## მიზეზი მეურნეობის აღორძინებისა იტალიაში

ყველა იმათ, ვისაც დღეს მეურნეობისა ცოტა რამ მაინც გაეგებათ, კარგად იციან რომ ნიადაგს მინერალური სასუქები სინოციერეს აძლევენ და მოსავლიანობას ჰმატებენ.

მას შემდეგ რაც ამ სასუქების ზედგავლენით მოსავალს პატრონის გული არა ერთხელ და ორჯელ გაუხარებია და ამასთანავე შემდეგ იმისა რაც აღმოჩნდა რომ ცერცვმაგვარი მცენარეები ატმოსფერიდან ნიადაგში აზოტს აგროვებენ, ამ ერთ უსაჭიროესთაგან საკვებავს მცენარეებისას, ნიადაგის ისე განოციერება რომ მუდამ წელს კარგ მოსავალს იძლეოდეს, სიძნელეს როდილა წარმოადგენს.

დასავლეთ ევროპაში, ნაჩეტნავად იტალიაში ეხლა ერთი კუქნა ადგილების პატრონებიც კი ახერხებენ თავიანთ მამულების მინერალური სასუქებით გაბატონებას და იქიდან მოსავლით გამოარჩომას.

იტალიის ზოგიერთა კუთხეებში ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ხელლოვნური სასუქების წყალობით მიწის მოსავალი თითქმის გაორ-სამკეცდა.

სარწყავი წყლების გაყვანით, ქაობების გამოშრობით, დამცდელი ადგილების გასალიანებით იტალიელებმა ბევრი უვარგისი სახნავ-სათეად ადგილი გააფარგისიანეს და იქამომდე მიადწიეს რომ ეხლა იქ ხალხის ქონებ-

რივი მდგომარეობა ბევრით უმჯობესია ვიდრე წინად იყო, თუმცა მცხოვრებლების საერთო რიცხვმა უკანასკნელ მან წელიწადში 30% იმატა.

რომ მსხვილი მამულები სქარბობდნენ იტალიაში, კიდევ ჰო. ვიტყოდით: დიდი მამულების პატრონებს უფრო ადვილად შეუძლიანთ საუკეთესო სამეურნეო მაშინა-იარაღებისა და აწინდელი სამეურნეო სწავლა-ცოდნის ხმარება-გამოყენება. მაგრამ ესეც არ არის. დიდრონ მამულებს მარტო სიცილიაში და სარდინიაში და პიემონტისა და ლომბარდიის სარწყავ ადგილებში თუ შეხვდებით. ეს ადგილები აქაც პატრონებს წვრილ-წვრილ ნაქრებად დაუყვიათ და სხვებზე აქვთ გაქირავებული, ისე რომ თითოეული მამულის გამკეთებელი-მოიჯარადრე მხოლოდ პატარა ადგილის მფლობელია და არა დიდრონი ხოდაბუნებისა.

მაშ რამ ააყვავა იტალიის ველ-მინდვრები, რითი აღორძინდა იქ მეურნეობა და რა მიზეზით იმატა ხალხის ქონებრივმა შეძლებამ, რომ დღეს ისინი თითოთ საჩვენებელნი გახდნენ მთელი სამეურნეო მწერლობისა?

პირველი მთავარი მიზეზი გახლავთ სკოლების გამრავლება ამ სკოლების მოქმედების დასახასიათებლად საკმარისია ვსთქვათ რომ 1881 წელს სალდათათ წაყვანილ ახალგაზდებში მარტო 43% იცოდა წერა-კითხვა, 1907 წელს კი—78%.

სკოლების შემდეგ მეორე არა-ნაკლებ მიზეზად მეურნეობის აღორძინებისა სთვლიან იმ გარემოებას, რომ სკოლების გარეშე ხალხში სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებას მიუმაჯავს

ხელი ზედმეტად და ყველანაირი ამხანაგობანი მუშაკთა შორის გააძრიელეს. წარმოება, ნაწარმოების გასაღება, იაფფასიანი სესხი, დაზღვევა მოსავლისა, საუკეთესო თესლისა და სამეურნეო მაშინა-იარაღების გამოწერა—შეძენა პირველ საზრუნველ საგნად გაიხადეს და ამგვარ საქმეთა გასაძლიერად ერთმანეთთან გაამხანაგება ჩვეულებად გარდაიქცეს.

1886 წელს დაბა პარმიტანში არსდება პირველად საზოგადოება „**მოძრავი კათედრა**“ წოდებული, რომლის წესდების პირველი მუხლი ასე განსაზღვრის მიზანს საზოგადოებისას: „საზოგადოებას აქვს მიზნად ხელი შეუწყოს სამეურნეო პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებას და მეურნეობის აღორძინებას სოფლად ლექციების წაკითხვით, სამეურნეო საკითხებზე სჯა-ბაასის გამართვით, საცადი მინდვრების მოწყობით, სამეურნეო წიგნების გამოცემით და სხვა.

ესეთივე „მოძრავი კათედრა“ არსდება მეორეგან, მესამეგან და ამ სახით ძლიერდება იტალიაში მუშაობა ერთი მიზნისაკენ მიმართული.

სხვა ქვეყნებში უფრო ადრე იყვნენ ესეთი დაწესებულებანი დაარსებულნი, მაგრამ ისეთი შედეგი კი არ მოუტანიათ, როგორც იტალიაში.

გერმანიაში, მაგალითად, მოქმედობდნენ სოფლიდან სოფელში მოსიარულე მეურნეობის მასწავლებელნი; საფრანგეთში იყვნენ ეგრედწოდებულნი დეპარტამენტის პროფესორები მეურნეობისა; დანიაში—მერქობის ინსტრუქტორები და სხვა. ხოლო ამ მოქმედებას არსად არ გაუდგავს ფესვი ისე ღრმად და ფართოდ, არსად არ

გამოულია ისეთი ნაყოფი, როგორც იტალიაში და აი რატომ:

გერმანიაში მეურნეობაზე სოფლად ქდაგებდა იგივე სოფლის სკოლის მასწავლებელი როცა თავის პირდაპირი მოვალეობის აღსრულების შემდეგ მიეცემოდა მას დრო და შემთხვევა.

საფრანგეთში დეპარტამენტის პროფესორად ითვლებოდა სახელმწიფოსაგან დანიშნული რომელიმე მოხელე პირი, რომელსაც დარიგება და პროგრამა მოქმედებისა სამინისტროსაგან ეძლეოდა.

იტალიაში კი ამ საქმისათვის თავი გამოიღეს დახელოვნებულმა აგრონომებმა, რომელთაც მშვენივრად ჰქონდათ შესწავლილი ადგილობრივი მიწაწყლისა და დარ-ამინდის განსაკუთრებული თვისებანი.

ლაბორატორიების გამართვით დაბასოფლებში, საცადი და სამაგალითო სამეურნეო სადგურების დაარსებით, ხალხისადმი რჩევა-დარიგების მიცემით მეურნეობის ყოველ დარგში, თესლისა და იარაღების გამოწერა-შეძენაში დახმარების აღმოჩენით ამ ორგანოებმა განუსაზღვრელი ნდობა მოიპოვეს ხალხში და ნამდვილი შუამავლობა გაუწიეს სამეურნეო მეცნიერებასა და პრაქტიკას.

გადაავლეთ თვალი ამ კეთილსინიდი-სიერ მოღვაწეთა ნაშრომს და დარწმუნდებით რომ კვირა-უქმე დღეობით მათ სწორედ დროსა და ადგილ-მდებარეობის შესაფერი პრაქტიკული საკითხები ჰქონიათ ხალხთან საბაასო საგნათ არჩეული.

მინერალური სასუქების ხმარება, ნიადაგის წესიერად დამუშავება, ცერცვ-

მაგვარი მცენარეების დათესვით ნიადაგის განოციერება, სათიბების მოვლა-გაუმჯობესობა, შინაური ცხოველების გამოკვება, აბრეშუმის ქის მოყვანა, ხეხილების მყნობა, ვენახის გაშენება, ღვინის დაყენება, მეფუტკრეობა, სხვადასხვა აზნანაგობების დაარსება, მოსავლის დაზღვევა სეტყვისაგან, გოლვისაგან... აი რა გვარ საკითხებზე მიუპყრიათ მათ ხალხის ფიქრი და გონება. ხალხსაც გაღუშლია თავისი გული და სრულის ნდობითა და სიყვარულით მიუღოს თავის პროფესორის მოსვლას. სოფელი სოფელს ეცილება, ჯერ ჩვენთან უნდა მოვიდეს, არა ჯერ ჩვენთანაო. ნეტარება იმათ ვისთანაც პროფესორი მივა, ეს დღე ბედნიერ დღეთ ითვლება სოფელში. ყველა ცდილობს რამე სასარგებლო ჰკითხოს მეურნეობიდან პროფესორს და მერე თავისთვის გამოიყენოს.

დღეს ასეთი „მოძრავი კათედრები“ იტალიაში 80-მდე ითვლება.

იქ სადაც ამ 10—15 წლის წინად ჯერ ისევ იგივე გუთანს ხმარობდნენ, იგივე წესს, რაც 2000 წლის წინად იხმარებოდა იტალიაში, დღეს უკვე ახალი უკეთესი წესია შეტანილი სამეურნეო საქმეში და მეტ გამორჩომაში არიან.

სხვა რომ არა ვსთქვათ რა, მარტო ხელოვნური სასუქების დასამზადებლად ნან ფაბრიკა მუშაობს ეხლა იტალიაში და კიდევ ვერ ასწრობენ აწ არსებული ამ სასუქებზე მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.



# საეურადლებო ცნობები

**როგორ ამოვიცნოთ, რომელიმე რკი ნეული იარაღი ფოლადისაგან არის გაკეთებული თუ ნაწრობი რკინაა?** შეაზავეთ 1 ნაწილი აზოტის სიმყავე 4—5 იმისთანა ნაწილ წყალთან, ამ ზავის ერთი წვეთი დააწვეტეთ შესამოწმებელ იარაღს და რამდენიმე წუთის შემდეგ შეამზრალეთ და გაშინჯეთ. თუ იარაღზე შავი ლაქა დარჩა ადვილი გადასაწმენდი, იარაღი ფოლადისაა; თუ ლაქა მოთეთროა ან სრულიად არ ეტყობა, იარაღი ნაწრობი რკინა ყოფილა და არა ფოლადი.

**როგორ უნდა აირჩეს ჩვილი ხბო მოსაშენებლად გასაზრდელად.** ზოგი ხბო საკლავად ან გასაყიდათ იზრდება, ზოგიც შინ გასაზრდელად მოსაშენებლად საქონლის პატრონმა უნდა იცოდეს რომელი ხბო აარჩიოს მოსაშენებლად, რომ კარგი მომშენებელი გამოუვიდეს. ამის შესახებ ერთი ამერიკელი მესაქონლე შემდეგ რჩევას იძლევა: დაიბადება თუ არა ხბო, პირი გაუშინჯეთო და თუ მართლაც ორი კბილი აქვს ღრძილებიდან ამოხეტილი, ნუ შეინახავთ ამ ხბოს მოსაშენებლად, თუნდაც რომ ძალიან მაღალი ტანისა იყოსო, რადგან ამისაგან კარგი მომშენებელი არ დადგებაო.

პირიქით, თუ ახლად დაბადებულ ხბოს 6 ან 8 კბილი აქვს ამოსული, ეს იმის ნიშანია რომ დედაც ჯანსაღი ჰყოლია ამ ხბოს და თითონაც მაგარი აგებულებისა იქნებაო.

**საშუალება ბუზების წინააღმდეგ.** როგორც მოგეხსენებათ ზაფხულში ხორცს ბუზი ძალიან ეტანება, რომელიც ზედ მოთეთრო კვერცხებსა სდებს (**ხრილი**). ამგვარ ბუზების მოსაშორებლად საკმარისია ცოტათი დაჩქვქილი ტარხუნა წაუსვათ ხორცს და ბუზი სრულებით აღარ მიეკარება.

**დამზავებულ წყალში კარაქის შენახვა.** აიღეთ წყალი და შიგ ძმარი ან სხვა რამე სიმყავე გაურით, ისე რომ წყალი კარგათ გამუჟავდეს, შემდეგ შიგ ჩასდეთ შესანახი კარაქი; ან ცხარე ძმარში დაასველეთ ტილო და

შემოახვიეთ კარაქს. ამ გვარი საშუალებით კარაქი დიდხანს ინახება.

**წყალგარეული რძის შემოწმება.** აიღეთ სუფთა უჟანგო წინდის ჩხირი და ჩასდეთ რძეში, თუ ამოღების დროს წინდის ჩხირს რძის წვეთი ამოჰყვა, მაშინ რძე კარგი ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი თუ რძე არ ამოჰყვა, რძეში წყალი ყოფილა გარეული.

**ვაშლის ხის ტკირპი.** როცა ვაშლის ხეს ტკირპი გაუჩნდება, აქვე უსათუოდ ჭიანჭველებიც გაჩნდებიან ხოლმე. ტკირპი ამზადებს ტკბილ წვენს, რომელსაც ჭიანჭველებიც სწვნიან, როგორც ჩვენ ძროხას ვწველით, და სმენ.

ამიტომ ჭიანჭველა ამ ტკირპას არ ჰხოცავს, პირიქით უფლის, გადაჰყავს იმ ტოტებზედაც, სადაც არ არის, და ცდილობს რაც შეიძლება მეტი გაამრავლოს.

რასაკვირველია ამ შემთხვევაში ბრძოლა ჭიანჭველების წინააღმდეგ კი არა ტკირპების წინააღმდეგ გვემართებს. როცა ტკირპი აღარ ექნება ხეს, ჭიანჭველებიც ჩამოშორდებიან. ტკირპის წინააღმდეგი წამალი კი ვერედწოდებული **კვასია** არის მწვანე საპონში გახსნილი \*). წამალი იგი სრულებით უვნებელია ვაშლის ნორჩი ფოთლებისათვის და ტკირპის წინააღმდეგ კი უებარია.

ამ წამლის გარდა ტკირპას ჰხოცავს აგრედვე საწამლავე **ტომასშლაკი**, რომელიც უნდა ვაშლის ფოთლებს მიეყაროს ზედ როცა ფოთლები ნესტიანები არიან, ან განგებ ამისათვის უნდა დანესტიანდნენ, რომ საწამლავის მტვერი მიეკრას ზედ და არ ჩამოცვივდეს. თვით ტომასშლაკი სიმზრალეში უნდა იყოს შენახული, რომ არ დაკალტდეს და ერთნაირად თხლად მოეფინოს ფოთოლს.

ტკირპის გასაწყვეტად კარგია აგრედვე გამზარი თამბაქოს მტვერი, რომელიც უნდა დანესტიანებულ ფოთოლს მიეყაროს. მტვერი დიდხანს რჩება ვაშლის ფოთოლზე მიკოწიწებული და ჰხოცავს ტკირპას.

\*) კვასიას მომზადება იხ. „მოსავალი“ 1909 წ., №. 11.

# ს ა რ მ ე ვ ი

1909—1910 წწ. ქუჩნალ „მოსავალში“ დაბეზ დილი წერილებისა

ს ვ ს ა - თ მ ს ვ ა

1909 წ.

პროფ. ა. ფორტუნატოვი . . . . .	„ხანსავ-ნათესის რადენობა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში“ . . . . .	იხ. ყურნ. № 9
ზ. ედილაშვილი . . . . .	„ბრინჯის მოყვანა საინგილოში“ . . . . .	„ № 9
დ. გორთამაშვილი . . . . .	„როდღე სიტუვა ჩვენებურ ხვნა-თესვაზე“ . . . . .	„ № 11
ვ. გულბათიშვილი . . . . .	„ღვარძლა და იმის წამალი“ . . . . .	„ № 2
ვ. რ . . . . .	„სად რამდენი ჰურის მოსავლია და რამდენი უჩდებათ“ . . . . .	„ № 14
მ. მაღალაშვილი . . . . .	„როგორ უნდა გაშრეს იონჯა, სამეურნა და სხვა მათი მზგავსი ბაღასები, რომ თავა ნოეიერი დადგეს“ . . . . .	„ № 7
გ. ნ . . . . .	„ჩინეთის მცენარე გალიანი“ . . . . .	„ № 14
საყურადღებო ცნობები: . . . . .	„გათიბვის დრო“ . . . . .	„ № 6
	„ოქსლის გაუმჯობესობა“ . . . . .	„ № 11
	„სად როგორ ჯრის გავრცელებული სამეურნეო იარაღების და მასინების ხმარება რუსეთში“ . . . . .	„ № 11

1910 წ.

ე. იოსელიანი . . . . .	„დემინსკის და ლევიტკის ქადაგება“ . . . . .	„ № 5
ვ. გულბათიშვილი . . . . .	„თესლის შერჩევა“ . . . . .	„ № 5
	„სიმინდის მოსავლის გაუმჯობესობა“ . . . . .	„ № 14
დ. ფალავანდიშვილი . . . . .	„მეურნეობის დაქვეითების მიზეზი ჩვენში“ . . . . .	„ № 6
ე. იოსელიანი . . . . .	„იონჯა და მისი მნიშვნელობა“ . . . . .	„ № 7
	„როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი ხვნა-თესვა“ . . . . .	„ № 11
ვ. ახოშვილი . . . . .	„თესლის ავ-კარგიანობა“ . . . . .	„ № 15, 16
სტუდ. ვ. რცხილაძე . . . . .	„თამბაქო“ . . . . .	„ № 9, 11
საყურადღებო ცნობები: . . . . .	„ბარსაკეთის გაწმენდა“ . . . . .	„ № 5
	„როგორი პირი უჩანს მოსავალს 1910 წ.“ . . . . .	„ № 10



მეცნიერება და მღვიმეობა

1909 წ.

ვ. მჭედლიშვილი . . . . .	„კრიზისი მედიცინების კახეთში“ . . . . .	№ 1
	„ღვინის გადაღება“ . . . . .	№ 2
	„სართულად მომზადება“ . . . . .	№ 8
	„ქვეყრის სარქვევლი“ . . . . .	№ 12
	„დედიდა და ღვინის დედილი“ . . . . .	№ № 9,10
პ. ავერკინი . . . . .	„კახური ვაზი და ღვინო ევროპულ ვაზებთან და ღვინობთან შედარებით“ . . . . .	№ 3
	„მევენახეთა საეურთაღებო კითხვა კახეთში“ . . . . .	№ 1
ს. ხუნდაძე . . . . .	„ნატარი და იმის წამლობა“ . . . . .	№ 4
	„ვაზის ობი ანუ მილდიუ და მისი წამლობა“ . . . . .	№ 6
	„ანტროქოზი და მისი წამლობა“ . . . . .	№ 8
	„ვაზის სივეთლე“ . . . . .	№ 10
ლ. გოგნიაშვილი . . . . .	„ამერიკული ვაზის გავრცელება ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში“ . . . . .	№ 4
	„როგორ უნდა გააშენოთ ამერიკული ვაზი, გააკეთოთ ნამეენი, შეინახოთ ნერვი და დარგათ სხვის დაუხმარებელი“ . . . . .	№ 10
დ. მდივანი . . . . .	„ვაზის გასხვლა“ . . . . .	№ 13
	„მევენახეთა საეურთაღებო“ . . . . .	№ 7
	„ნამეენის საძირე ვაზი“ . . . . .	№ 10
აგრიკოლა . . . . .	„ნამეენი ვაზი გურიაში“ . . . . .	№ 13
ნ. მაკარაშვილი . . . . .	„ვაზის ფოთლის მსგეველი ჭია კახეთში“ . . . . .	№ № 7,8
ვ. გულბათიშვილი . . . . .	„სად რამდენი დესექტინა ვენახისა და რა გამოსავალია აქვთ ამ ვენახებს“ . . . . .	№ 11
საყურადღებო ცნობა . . . . .	„შაბაძის შეზავება“ . . . . .	№ 1

1910 წ.

ვ. მჭედლიშვილი . . . . .	„ღვინის ზიანი და ავადმყოფობა“ . . . . .	№ 10
ს. ხუნდაძე . . . . .	„ვაზის გასხვლა“ . . . . .	№ № 3,4,5
	„ვაზის გაფურცენა“ . . . . .	№ 9
გ. ჩივაძე . . . . .	„ნამეენი ვაზით ვაჭრობა“ . . . . .	№ 10
პ. ყიფიანი . . . . .	„საქარის სანერგე და გურია-სამეგრელო“ . . . . .	№ 10
მ. ქარცივაძე . . . . .	„ღვინის ბრეკების გარეცხვა“ . . . . .	№ 11



სარჩევი

ვ. რცხილაძე . . . . .	„რა მდგომარეობაშია იმერეთის მეკე- ნასკობა“ . . . . .	№ 4
	„კირი და გოგირდი შაბიამანის მაცე- რად“ . . . . .	№ 7
	შირველი ხანა ფილქსერის გავრცე- ლების კახეთში“ . . . . .	№ 14
ვ. გულბაათიშვილი . . . . .	„1909 წლის ღვინის მოსავალი და ფასები“ . . . . .	№ 9
გ. ნახუცრიშვილი . . . . .	„უმაჯურესი ზამთრის სამუშაოები ვე- ნახში“ . . . . .	№ 21
კ. ბერეკაშვილი . . . . .	წერილი ნოვოროსისკიდან . . . . .	№ 17
საყურადღებო ცნობანი . . . . .	„შაბიამანის შეზავება ვენახის მოსა- წამლად“ . . . . .	№ 19
	„ვაზის შესაყელი რაფი“ . . . . .	№ 5
მეურნ. ინსპ. ი. ვას—ვი . . . . .	„ფილქსერა“ . . . . .	№ 24

ზინაური ფრინველის გაზენება და გამოყენება

1909 წ.

საყურადღებო ცნობა: . . . . .	„როგორ უნდა მოშორდეს შინაურ ფრინველს ტვირთი, ბუგრა და სხვა მწერი“ . . . . .	№ 7
------------------------------	---	-----


1910 წ.

დ. მდივანი . . . . .	„შინაური ფრინველების ავადმყოფო- ბანი“ . . . . .	№ 15
ვ. ქათამაძე . . . . .	„ფრინველების მოვლა-მოშენება“ . . . . .	№ 17, 19
საყურადღებო ცნობანი: . . . . .	„კვერცხის შენახვა კირ-წყალში“ . . . . .	№ 16
	„დელოფალს დასაჭერი საფანგი“ . . . . .	№ 15
	„როგორ უნდა შეინახოთ კვერცხი დიდხანს“ . . . . .	№ 17
	„ჭიკუქების გამრავლება ქათმების- თვის“ . . . . .	№ 21
	„კვერცხის სავსად ჩასაწყობი უუთები“ . . . . .	№ 9

ზინაური საჟონლის მოვლა-მოზენება

1909 წ.

ედილი . . . . .	„მსვილეფხა საქონლის გაბერვა“ . . . . .	№ 4
შ. დედაბრიშვილი . . . . .	„შინაური ცხველების მოვლა-მოშე- ნება“ . . . . .	№ 5, 12, 15
საყურადღებო ცნობა: . . . . .	„საქონლის მუხისა და ქეცის წინააღმდეგ დებ“ . . . . .	№ 9
	„ეურთუხის წამალი“ . . . . .	№ 14





1910 წ.

გრ. ცხადაძე.....	„შინაური ცხოველების ავადმყოფობანი და ქეიმობა“.....	№№ 1,2, 3,4,6,7,8,9,17, 21
ელ. კარბელაშვილი.....	„აღერსიანად მოეპყართ თქვენს საქონელს“.....	№ 11
ვ. გულბათიშვილი.....	„როგორ ზრუნავენ შინაურ საქონელზე“.....	№ 4
	„თურქული“.....	№ 19
საყურადღებო ცნობანი...	„რომელი მხრიდან უნდა წვეკვავ“...	№ 13
	„როგორ ავარიდოთ შინაურ საქონელს ბუზი, კოღო და სხვა“.....	№ 15
	„სადოდე დორის არჩევა“.....	№ 5
	„როგორ უნდა მიეცეს ბებერ ცხენს ქერი ან შურია“.....	№ 5
	„ცხენის ჩლიქის მოკვლა“.....	№ 9
	„მოუსვენარი ძროხის მოწვეკვლა“ ..	№ 21
	„როგორ უნდა აირჩეს ჩვილი ხბო მასშენებლად გასაზრდელად“.....	№ 24

ხმხილის გაშენება და მოვლა

1909 წ.

ნ. მაკარაშვილი.....	„გარკული ხეხილის თესლის მოგროვება და ნერგების მომზადება ხეხილის ბადის გასაშენებლად“.....	№ 2
დ. გორთამაშვილი.....	„კვირტით მენობა“.....	№ 14
ვ. ახოშვილი.....	„მსხალი და ვაშლი“.....	№ 15
მ. ზაალიშვილი.....	„ამერიკულად ხის დარგვა“.....	№ 8
საყურადღებო ცნობა:.....	ხეხილის დაცვა კურდღლებისაგან“ ..	№ 7

1910 წ.

ზ. ედილაშვილი.....	„თხილი საინგილოში“.....	№ 5
ვ. ახოშვილი.....	„მსხალი და ვაშლი“.....	№№ 2,4,13
	„დიდი ხეების გადარგვა“.....	№ 19,
ი. ფურცელაძე.....	„რა ხილია ქართლში გასაჩენი“.....	№ 6
გ. ნახუცრიშვილი.....	„სასარგებლო მცენარენი“.....	№ 1
გ. თაქთაქიშვილი.....	„ხეხილის მოკვლა-მოშენება ქართლში“.....	№ 15
ვ. რცხილაძე.....	„მუღინის ბაღი გომბორში და სკუტევის ასაცდენი ბოძები“.....	№ 19
საყურადღებო ცნობანი: ..	„ძუძუ-მარწყვა“.....	№ 2
	„ხეხილის შესწორება კირის რძით“ ..	№ 5

სარჩევი

„ხეზე სახმარი ფისი“ . . . . .	№ 5
„პრობის გამგეობა ხეხილის ახვე- ვაში“ . . . . .	№ 15

მეფუტკრეობა და მებარეუშეობა  
1909 წ.

პლ. ლორთქიფანიძე . . . . .	„ფუტკარი ჩვენში და სხვაგან“ . . . . .	№№ 2,4
საყურადღებო ცნობანი . . . . .	„ფუტკრის დაზიანება ქიზიუში“ . . . . .	№ 1
	„ფუტკრის სასმელი“ . . . . .	№ 12

1910 წ.

ექიმი სემიონოვი . . . . .	„თაფლი“ . . . . .	№ 9
ი. ქუთათელაძე . . . . .	„ჩვენი აბრეშუმის ზარკი“ . . . . .	№№ 7,8
	„აბრეშუმის ზარკი უცხოეთის ბაზარზე“ . . . . .	№ 10
საყურადღებო ცნობანი . . . . .	„აბრეშუმის ხელცასოც-ბაღდადების გა- რეცხვა“ . . . . .	№ 10

მეზოტყეობა და მებაღეობა  
1909 წ.

მ. მამულაშვილი . . . . .	„ჩემი შრომის პირველი ნაბიჯი მცხე- თაში“ . . . . .	№ 1
	„რამ გამბედეინა უვაჟილეების მ- უგანა და ვაჭრობა“ . . . . .	№ 8
საყურადღებო ცნობანი . . . . .	„კომბოსტოს ფესვის დაყოფა“ . . . . .	№ 11

1910 წ.

კ. ონიკოვი . . . . .	„ქართული კიტრი“ . . . . .	№ 3
გ. კარალელი . . . . .	„ბახჩისაჩაის კვანძი“ . . . . .	№ 8
გ. ნახუცრიშვილი . . . . .	„ზომიდორის მოყვანა და შენახვა“ . . . . .	№ 14
ა. მაჩაბელი . . . . .	„დასარიგებლად გამოგზავნილი თესლი“ . . . . .	№ 5
საყურადღებო ცნობანი . . . . .	„ახალი ბოსტნეული “პომატო“ . . . . .	№ 3
	„კართოფიდის სიღამხლე“ . . . . .	№ 3
	„დრეულა კართოფილი“ . . . . .	№ 7

კრედიტი, კოოპერაციები და სხვა სამეურნეო დაწესებულებანი  
1909 წ.

გ. სემიონოვი . . . . .	„კოოპერაცია სოფელში“ . . . . .	№ 5
ვლ. კარბელაშვილი . . . . .	„როგორ ებრძვიან გლეხები გაჭირე- ბას. სანიშნოა წესდება 1908 წ. 18 ნომბრისა“ . . . . .	№№ 5,6
ვ. ხრამელაშვილი . . . . .	„წერილი სესხის სოფლად“ . . . . .	№ 6



ბ. მგალობლიშვილი . . . . .	„მაგალითი სსსოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა“ . . . . .	№ 3
გ. ნახუცრიშვილი . . . . .	„გამსესხებელი საზოგადოება სოფელ რუავეკაში (მოსკოვის მაზრა) . . . . .	№ 14
საყურადღებო ცნობანი . . . . .	„როგორ ვრცელდებიან მომხმარებელი ამხსნაგობანი ფინლიანდაში“ . . . . .	№ 13

1910 წ.

გ. ნახუცრიშვილი . . . . .	„გლეხთა ამხსნაგობანი ფინლიანდაში“ . . . . .	№ 4
ვ. რცხილაძე . . . . .	„გზა უტყუარი, გზა მართალი“ . . . . . „რა კანონი გამოვიდა რუსეთში 7 თებ. 1904 წ. და როგორ ვისარგებლეთ მით“ . . . . .	№ 10 № 11
ე. იოსელიანი . . . . .	„რამდენად საჭიროა ქართველთა შორის სამეურნეო საზოგადოების დაარსება“ . . . . .	№ 17
ვ. გულბათიშვილი . . . . .	„სამეურნეო მაშინების საერთოდ შექნა“ . . . . .	№ 21
ვ. ვაჭრიშვილი . . . . .	„რად კატრდებიან მომხმარებელი ამხსნაგობანი“ . . . . .	№ 21
ს. კახელიძე . . . . .	„როგორ იშოვეს თუელი სამეურნეო საჭიროებისათვის“ . . . . .	№ 19 22

ჰიგიენა და მკურნალობა

1909 წ.

ვ. რცხილაძე . . . . .	„ორგანიზმის თვითმკურნავე ძალა“ . . . . .	№ 12, 13
-----------------------	--	----------

1910 წ.

ანაზდეული . . . . .	„შავი ჭირი“ . . . . .	№ 24
საყურადღებო ცნობანი: . . . . .	„ნამდვილა ზომები სოფლის წინააღმდეგ“ . . . . .	№ 13
	„როგორ უნდა იწამლას ვისაც ზირი უყარს“ . . . . .	№ 11
	„ნახშირ-მყავით დაბორიელებულის წამალი“ . . . . .	№ 13

კონსერვები, მურაბები, მწნილები და სხვა

1909 წ.

საყურადღებო ცნობანი: . . . . .	„ვარდის მურაბის მომზადება“ . . . . .	№ 3
	„ლეღვის ყავა“ . . . . .	№ 6
	„ბადრიჯნის მურაბა“ . . . . .	№ 12



სარჩევი

1910 წ.

საყურადღებო ცნობანი: ..	„ფეხში სსმარებელი ძმარი“ .....	№ 10
	„აღუზის ან ღორ-ქლიავას მურაბა“ ..	№ 10
	„კაკლისა და მადინის მურაბები“ ..	№ 10
	„რომელი მასალა წინით რამდენი გა- მოდის ტანით“ .....	№ 14
	„როგორ უნდა მომზადდეს იმერულბ ბადრიჯანი“ .....	№ 14
	„ფეკილის ისე შენახვა, რომ არ დამ- ძადდეს“ .....	№ 17
	„უმი ხორცის შენახვა დიდხანს“ ..	№ 19

ნიდაგის დამუშავება

1909 წ.

მ. ზაალიშვილი.....	„მიწის შემუშავება“ .....	№ 7
	„თესლი“ ..	№ 9
გ. ნახუცრიშვილი.....	„საუბარი დედამიწაზე“ .....	№№ 13,15
ვ. გულბათიშვილი.....	„ნიდაგი“ .....	№ 15

1910 წ.

ვ. გულბათიშვილი.....	„ნიდაგი“ .....	№№ 1,2,3,11 12, 13, 16,17
გ. ნახუცრიშვილი.....	„საუბარი დედამიწაზე“ .....	№ 1
საყურადღებო ცნობანი...	„მიწაში დარჩენილი კუნძების ამო- ღება“ .....	№ 3

ს ა ს უ ჟ ე ბ ი

1909 წ.

ვ. შ—ელი.....	„სასუქი და იმისი მნიშვნელობა სე- ხილებისათვის“ .....	№№ 1,2,3,4, 5,6,7,9,10,12,13
---------------	---	---------------------------------

1910 წ.

გ. ნახუცრიშვილი.....	„მინერალური სასუქები“ .....	№№ 2,6,7
საყურადღებო ცნობანი: ..	„ხელოვნური სასუქები კიტრის ბაღში“ ..	№ 2

მეურნეობის მტრებთან ბრძოლა

1909 წ.

გ. ნახუცრიშვილი.....	„მეურნეობის მტრები“ .....	№№ 1,2,3,5,6
ა. როლოვი.....	„სახლი წამალი მიღდიუსა და ნაცრის წინააღმდეგ“ .....	№ 3



გ. ახალაძე.....	„საწამლაჳი „კვასიას“ მომზადება და ხმარება“ .....	№ 11
	„ჯირევალა“ .....	№ 12
საყურადღებო ცნობანი...	„ჭიანჭველების წინააღმდეგ“ .....	№ 5
	„საშუალება თრთვილის წინააღმდეგ“ .....	№ 11

1910 წ.

გ. თაქთაქიშვილი.....	„მონილია სოკო“ .....	№ 7
	„ხეხილის მტრები“ .....	№ 8
დ. გორთამაშვილი.....	„პოლისუღოიტიის ხმარება“ .....	№ 10
საყურადღებო ცნობანი...	„ჩილის გვარჯილა მწერთ წინააღმდეგ“ .....	№ 19
	„ვირთავების გასაწვევტი საშუალება“ .....	№ 19

წამლები, წასასმელები და სხვა

1910 წ.

საყურადღებო ცნობანი: ..	„ძმარი როგორც წამალი“ .....	№ 3	
	„საშუალება ჭიანჭველების წინააღმდეგ“ .....	№ 3	
	„ჩრხილის წინააღმდეგ“ .....	}	№ 3
	„სინესტის წინააღმდეგ“ .....		№ 3
	„კედელზე წასასმელი კირი“ .....	№ 5	
	„შაბიამანი ობის წინააღმდეგ კედელზე“ .....	№ 5	
	„ლითონების გასაწმენდი“ .....	№ 8	
	„დაბებული ღიმონი ჭიანჭველების წინააღმდეგ“ .....	№ 8	
	„ძნელად ჩამოსარეცხი სადებავი“ .....	№ 9	
	„ლაქების ამოსეუანი საპონი“ .....	№ 11	
	„განავითანებული ჭურჭლის გაწმენდა“ .....	№ 12	
	„დაყანგებული დანა-ჩანკლის გაწმენდა“ .....	№ 12	
	„მელნის ლაქის ამოყვანა ტილოდან“ .....	№ 12	
	„ნავითი დალაქავებული ქსოვილის გაწმენდა“ .....	№ 13	
	„შუშისა და ფარფორების წებო“ .....	№ 15	
	„ჩინური ცემენტი“ .....	№ 17	
	„ფანჯრის შუშების წასასმელი“ .....	№ 21	
	„კართოფილის საპონი“ .....	№ 21	
	„როგორ ამოვიცნოთ, რომელიმე რკინეული იარაღი ფოლადისაგან არის გაკეთებული თუ ნაწრთობი რკინისა“ .....	№ 23	
	„საშუალება ხორცის ბუზების წინააღმდეგ“ .....	№ 23	
	„დამყავებულ წყალში კარქის შენახვა“ .....	№ 23	



სარჩევი

- „წელგარეული რძის შემოწმება“ . . . . . № 23
- „ვაშლის ხის ტკიპი“ . . . . . № 23

სამეურნეო სწავლა-განათლება და სპეციალური ცოდნა  
1909 წ.

მიმართვა რედაქციისაგან . . . . .	№ 1	
ვ. რცხილაძე . . . . . „მტენარენი და ცხოველნი“ . . . . .	№№ 2,3,4,7,8 11,12,14,15	
ე. იოსელიანი . . . . . „მეურნეს მეურნეობაზე“ . . . . .	№ 1	
	„როგორ სწავლობენ ჩვენში მეურ- ნეობას გლეხები“ . . . . .	№ 12
ს. ხუნდაძე . . . . . „მოსავალი“-სათვის . . . . .	№ 1	
ი. წინამძღვრიშვილი . . . . . „რა არის ცოდნა“ . . . . .	№ 3	
მ. ჯანაშვილი . . . . . „ქართველები და მეურნეობა“ . . . . .	№ 5	
გ. ნახუცრიშვილი . . . . . „რა სარგებლობა მოუტანს ერობამ რუსეთის გლეხობას“ . . . . .	№ 11	
ვ. გულბაათიშვილი . . . . . „როგორ დახმარებას უწევენ რუსეთის განათლებული პირნი რუსეთის მეურ- ნეობას“ . . . . .	№ 13	
	„ამიერ კავკასიის რეინის გზის ანგა- რიშიდან“ . . . . .	№ 12
ა. აბხაზი . . . . . „პურის გამოცნობა“ . . . . .	№ 9	
საყურადღებო ცნობანი: . . . . . „სოფლიწი“ . . . . .	№ 5	
	„როგორ უნდა ჩააქროთ ცეცხლ-მო- კიდებული მჭვარტლი“ . . . . .	№ 11
	„გაყინული მიწის გადნობა“ . . . . .	№ 15
	„ქის გასათხრელი ადგილის მოძებნა“ . . . . .	№ 15

1910 წ.

ვ. გულბაათიშვილი . . . . . „მიზეზი მეურნეობის აღორძინებისა იტალიაში“ . . . . .	№ 24
ვ. რცხილაძე . . . . . „მტენარენი და ცხოველნი“ . . . . .	№№ 1,2,5,21
მასალა კრებულის შესადგენი . . . . .	№№ 8,9,10,13
ე. იოსელიანი . . . . . „სამეურნეო გამოცემანი ჩვენში“ . . . . .	№ 19
მ. ჯანაშვილი . . . . . „სამეურნეო განათლება“ . . . . .	№ 15
სტუდ. გ. რცხილაძე . . . . . „როგორ ავრცელებენ სამეურნეო ცო- დნას ამერიკაში“ . . . . .	№ 21

სხვადასხვა წერილები, ცნობანი, განკარგულებანი და დადგენილებანი

1909 წ.

- „კავკასიელ მეურნეთა კრების დადგე-  
ნილებანი“ . . . . . №№ 14, 15



1910 წ.

ვ. რცხილაძე .....	„ახალი კანონი“ .....	№ 12
	„ერთი თვის რომელიმე რიცხვიდან სხვა თვის იმავე რიცხვამდე დღეების გამოსათვლელი ტაბულა“ .....	№ 17

სოფლის ცხოვრებიდან

1909 წ.

ე. იოსელიანი .....	„სოფლის ეოფა-ცხოვრებიდან“ .....	№ 2
	„ძველი კითხვა ახალ-პირებში“ .....	№ 6
	„ახალი ხანა სოფლის ცხოვრებაში“ .....	№ 14
ივ. პაატაშვილი .....	წერილი კახეთიდან .....	№ 7
დ. მდივანი .....	წერილი იმერეთიდან .....	№ 7
ივ. ჯორჯაძე .....	წერილი გურჯაანიდან .....	№ 7

1910 წ.

ვ. რცხილაძე .....	„შარშანდელი მინდვრის მოსავალი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებ- ში“ .....	№ 3
ე. იოსელიანი .....	„ჩვენი სოფლის მოღვაწენი“ .....	№ 6
ა. კახელიძე .....	„კითხვა და პასუხი“ .....	№ 8
კ. გვარამაძე .....	„წერილი სამეგრელოდან“ .....	№ 12
ი. ახალაია .....	წერილი სამეგრელოდან .....	№ 18
გ. თოიძე .....	წერილი დიდშიდან .....	№ 17
პ. შავლიციანი .....	წერილი აჭყურდიდან .....	№ 17
ლ. ჯიქია .....	წერილი სამეგრელოდან .....	№ 21
კახელი მეგვინაძე .....	„ცხუ შიგნიდან ტუღება“ .....	№ 13

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალ

„**მოსავალზე**“ წელიწადი მესამე

1911 წლისათვის.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ეღირება წლიურად **3** მანეთი.  
პრემია ამ წლისა ამ ნომერთან რიგდება, მომავალი 1911 წ.  
შემდეგ გამოცხადდება.



რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე



F 128

1910

N 1-24

